


ფასი 5000 მანეთი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

გაზეთი გამოდის ყოველდღიურად, მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქტ. მისამართი: სახ. სამხ. კ-ს შენ. პირ. ს. რთ. რუსთაველის პრ. № 31

კვირა 22 აპრილი 1923 წ.
წელიწადი მესამე

№ 259 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 259


ეროვნული ბიბლიოთეკა

## განცხადება

**ქართულ დივიზიის ცენტრალური წითელ-არმიელთა-კლუბი აცხადებს ყველა ნაწილების სამხედრო კომისრების საყურადღებოთ,** რომ ბილეთების დარიგება და განაწილება თეატრში ან კინოში შესასვლელათ სწარმოებს კლუბის კანცელარიაში ყოველ დღიურად, 9ს. —1 საათამდე. ვინაიდგან ზოგიერთი ნაწილების წითელ არმიელები უბილეთოდ მოდიან კლუბში ითხოვენ შესასვლელ კონტრა-მარკებს კინოში, რაც კლუბის გამგეობას სხვა და სხვა მიზეზების გამო (განსაზღვრული რაოდენობა ბილეთების, კლუბის ექსპლოატაცია და სხვ). შეუძლებლად მიაჩნია, გვალებათ ყველა ნაწილებს გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები ბილეთების მისაღებად, რომ ბოლო მოეღოს ზემოდ აღნიშნულ მოვლენას.

ც. წ. არმ. კლუბის გამგე: **დ. ხიხაძე.**

## განცხადება

ორშაბათს 23 აპრილს საღამოს 5 საათზე სახალხო სახლში (ყოფილ ზუბალაშვილის სახლი)- შესდგება თბილისის საბჭოს ფრაქციის სხდომა.

ამავე რიცხვს ამავე შენობაში საღამოს 7 საათზე შესდგება საბჭოს პლენუმის სხდომა.

საკითხები: 1) საშინაო პოლიტიკა.
2) მოხსენება ალმასკომის პრეზიდიუმის მუშაობის და მომავალი მუშაობის გეგმის შესახებ.
3) მოხსენება კომზაკესის შესახებ.
4) მიმდინარე საკითხები.

პ რ ე ზ ი დ ი უ მ ი.

## უვადო შვებულებაში მიმავალთ.

დღეს ქართული წითელი-არმია დიდ სიხარულს განიცდის. ის დიდი ზეიმით უვადო შვებულებაში უშვებს 1900 წელში დაბადებულ წითელ-არმიელებს და ამავე დროს პარალელურად ასეთივე აღფრთოვანებით ეგებება ახალ წვეულებს, 1901 წ. დაბადებულ ახალგაზრდობას.

ორ წელზე მეტია რაც საქართველოში არსებობს მუშურ-გლეხური არმია. ამ ხნის განმავლობაში ის საფხებით ჩამოყალიბდა, როგორც სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაცია თავის თავად ცხადია ის ახალგაზრდობა რომელიც ამ ხნის განმავლობაში ამშვენებდა მის რიგებს წარმოადგენს იმ ქვა-კუთხედს, რომელზედაც აშენდა საქართველოში წითელი ლაშქარი.

ორი წლის უკან, როდესაც ისინი მიდიოდენ წითელი-ჯარის რიგებში მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ წითელი ყაზარმის ყოფა-ცხოვრებაზე. უმეტეს შემთხვევაში მათ გონებაში იხატებოდი ჯარის-კაცის ისეთი ცხოვრება, რომელიც აღიბეჭდა მათი გონებაში ჯერ კიდევ მეფის და ბურჟუაზიის ბატონობის დროს. ორი წლის განმავლობაში წითელი-არმიის რიგებში ყოფნამ, ისინი კი დაარწმუნა სრულიად წინააღმდეგში. ჩვენი წითელი არმიელები იყვნენ ისეთივე თავისუფალი მოქალაქენი თავის ყაზარმებში, როგორიც ისინი იყვნენ თავიანთ სოფლებში და ქალაქებში. ისინი გარდა სამხედრო მეცადინეობისა ეწეოდენ ინტენსიურად კულტურულ, განმანათლებელ მუშაობას. წითელ ჯარში მათ მიიღეს პოლიტიკური განათლება, შეისწავლეს წერა-კითხვა და გაერკვიენ ყველა საჭირ-ბოროტო საკითხებში, რომელიც წარმოშვა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ. წითელი-ყაზარმა მუდამ და ყოველთვის სცდილობდა მიეცა მათთვის არა მარტო სამხედრო ცოდნა, არამედ იმის შეგნებაც, რომ ის არის თავისუფალი მოქალაქე სოციალისტური სამშობლოსი, რომელიც მტკიცედ დაურყევად მან უნდა, დაიცვას. დღეს თავისი მოვალეობის შესრულების შემდეგ უბრუნდებიან კვლავ თავიანთ სახლკარს ცოდნით და გამოცდილებით დაჯილდოებულნი, მაგრამ მათი მისია ამით არ თავდება. ისინი ვალდებულნი არიან როგორც სოფლის მოწინავე ელემენტები ჩაებან სოფლის ცხოვრების ყოველივე მუშაობაში და თავისი გამოცდილება და ცოდნა გაუზიარონ თავის თანამოძმეებს. ეხლა კი როდესაც ისინი მივლენ თავიანთ სოფლებში, მათ პირველი ამოცანას შეადგენს გასწიონ ენერგიული აგიტაცია და პროპაგანდა რათა, არც ერთმა ახალგაზრდამ არ აუხვიოს გვერდი წითელ არმიას. თუ ასეთები (დეზერტირები) მოიპოვებოდა 2 წლის უკან ამას კიდევ ჰქონდა რამოდენიმეთ გასამართლებელი მიზეზი რადგან საქართველოს მშრომელ ხალხს ვერ ჰქონდა ჯეროვანი და ჭეშმარიტი წარმოდგენა წითელ ჯარზე. დღეს ამას ვერავინ იტყვის, რადგან ამის საუკეთესო მოწმეები არიან ჩვენი წითელი არმიელები, რომლებიც დღეს მიდიან უვადო შვებულებაში. დღეს ჩვენ მათ ვაცილებთ სრული იმედით, რომ ისინი პირველად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას; შეებრძოლებიან ჩვენი მშრომელი ხალხის ყოველგვარ გაჭირვებას, უბედურებას, უკუღმართობას და თუ რაიმე საფრთხე მოევლინება საბჭოთა ხელისუფლებას ისინი როგორც ერთი კვლავ გამოცხადდებიან წითელი ჯარის რიგებში მუშურ გლეხური სახელმწიფოს დასაცავად.

## ჯარში გაწვევისათვის.

ამ დღეებში გამოქვეყნდა საქართველოს ცაკის დადგენილება 1901 წელში დაბადებულ მოქალაქეთა ჯარში გაწვევის შესახებ. საქართველოს საბჭოთა ხელის უფლება პირველად ახდენს გამოწვევას წითელ ჯარში. თვით დადგენილებაში ნათქვამია თუ როგორი შეღავათი იძლევა და რა მიზეზი ანთავისუფლებს გაწვევისაგან. თავისუფლდებიან მაჰმადიანები, მთიელები, აფხაზები. თავისუფლდებიან ისეთი პირები, რომელნიც ეკუთვნიან მუშათა კლასის მოწინააღმდეგე კლას და აქტიურად გამოუმჟღავნებიათ თავისი მტრობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი და რომელთაც შეუძლიათ გახდენ თოფით ხელში აარერთგული დამცველი მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისა. თავისუფლდებიან ისინიც კი რომლებმაც არ იციან ქართული ენა და რუსული მცოდნენი გაწვეულნი არიან წითელ არმიაში რ. ს. ფ. ს. რ. ან რ. ს. ს. ოკას.

საქართველოში შეიძლებოდა გამოწვევა რამოდენიმე ათიათასი კაცის მაგრამ გამოწვეულია მხოლოთ რამოდენიმ ათასი კაცი. რა თქმა უნდა რომ გამოწვევა ასეთი შეღავათიანი პირობებით უნდა ჩატარდეს და კიდეც ჩატარდება დიდის წარმატებით. რა თქმა უნდა საჭირო რიცხვი ახალ წვეულებისა ყოველთვის შეიძლება შეკრებილ იქნეს. შეიძლება გამოწვეულ იქნეს არა თუ რამდენიმე ათასი კაცი, არამედ შესაძლოა გამოწვევა ბევრად მეტის.

მაგრამ დღეს უმთავრესი ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ისე მოეწყოს ამ გამოწვევის საქმე, რომ ხალხმა სიხარულით გამოგზავნოს წითელ არმიაში თავისი შვილები და ძმები. ჩვენ ვიცით როგორი მძულვარებით უყურებდენ ჯარში გაწვევას მუშები და გლეხები. ამიტომ საჭიროა მცხოვრებთა შორის აგიტაცია პროპაგანდის წარმოება. საჭიროა წითელი არმიის მნიშვნელობის ახსნა, საჭიროა მოეწყოს საუბარი წითელ არმიელთა და მცხოვრებლების კავშირის შესახებ, ქართული წ.-არმიის მნიშვნელობაზე, როგორც კომინტერნის რაზმზე და სხვა. ამასთან ერთად გაწვევის პირველი დღიდანვე საჭიროა დაწყება ფართე საგიტაციო — საპროპაგანდო და საპოლიტიკო—საგანმანათლებლო მუშაობისა ახალ წვეულთა შორის, გაწვევის პირველი დღიდან უკანასკნელამდე. საჭიროა საგიტაციო მუშაობის წარმოება სადგურებზე, გამოსაწვევ პუნქტებზე ახალწვეულთა გამოგზავნის დროს. საგიტაციო თემები უნდა იქნეს „წითელი არმიის მნიშვნელობა, დეზერტირობა, წითელი და მეფის არმია, ქართული წითელი არმიის მნიშვნელობა.“

საჭიროა ყოველ სამაზრო პუნქტზე თითო კლუბი გამოყენებულ იქნეს გაწვევის განმავლობაში, სადაც უნდა იდგმებოდეს სპეციალურად ამ მიზნით სათანადო პიესები. გაიმართოს სპეციალური პოლიტ-გასამართლებები, გამოფენილ იქნეს სპეციალური ლოზუნგები და პლაკატები. უნდა იქნეს მოწყობილი ცალკე ჯგუფებში პოლიტიკური საუბრები. თითეული ახალწვეული მისი გამოცხადების დღიდან უნდა იქნეს ჩაბმული მუშაობაში. ტეხნიკური მხრით გაწვევა უნდა სწარმოებდეს სწორედ თანახმად მთავრობის დეკრეტისა. ჩვენ ვიცით როგორ აწარმოებდენ მეფის მოხელეები გაწვევას, ახალ წვეულს ნება არ ჰქონდა რაიმე შეკითხვების და განცხადების. მას მხოლოდ უნდა მოესმინა ყვირილი უფროსი მოხელეებისა. ჩვენ გაწვევის კომპანია უნდა ვაწარმოოთ უფრო შესაფერისად. გამწვევმა კომისიამ უნდა მოუსმინოს ყველას და მისცეს ახსნა განმარტება შეკითხვებზე. გამწვევი კომისია უნდა მოეპყრას განსაკუთრებით სიფრთხილით პუნქტს სადაც ნათქვამია. „გაწვევისაგან განთავისუფლებულნი არიან: ა, ბ, გ, დ, ე, —ის პირები, რომელნიც ეკუთვნიან ისეთ კლასს ან აქტიურად გამოვიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და არ შეუძლიათ იყვნენ იარაღით ხელში მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამცველნი.“

მეფის მთავრობას ვინაიდან ჰქონდა გაუმაძღარი მადა მოეგროვებია რიცხვით მრავალი ჯარი და არ აქცევდა ყურადღებას მის თვისებას და ჯარში იწვევდა ყველას განურჩევლათ, ამიტომ მეფის ჯარში იყვნენ რევოლიუციონერებიც, რომელნიც მეფის არმიას ხრწნიდენ. ჩვენ კი ჩვენს მუშურ გლეხურ არმიაში არ ვიწვევთ თავად-აზნაურობას და ვაჭრებს, ვინაიდან ჩვენ გვინდა რევოლიუციონური წითელი არმია, შეიარაღებული, როგორც იარაღით, ისე რევოლიუციონური ენტუზიაზმით.

ამ რიგათ მეტი ყურადღება გაწვევის კომპანიას. ჩვენ სიხარულით ველით ჩვენს ახალგაზრდა ახალწვეულებს ჩვენს წითელ არმიაში და იმედი გვაქვს, რომ ახალი რიგები ქართული წითელი არმიისა კიდევ უფრო გაამაგრებენ წითელი არმიის ორგანიზმს, ორგანიზმს კომინტერნის არმიისა.

გაუმარჯოს ქართულ წითელ არმიას, რომელიც არის მებრძოლი არმია კომინტერნისა.

სალამი ახალწვეულებს.

**ს. მგიკოვ.**




— ამხ. ზინოვიევის და სტალინის საბოლოო სიტყვების შემდეგ რუსეთის კომპარტიის ყრილობამ ერთხმად მიიღო ცენტრალურ კომიტეტის რეზოლიუცია ცეკას საორგანიზაციო ანგარიშის შესახებ.

— ესენში მუშებსა და ოკუპანტებს შორის შეტაკების დროს მოკლულ იქმნა რამოდენიმე კაცი.

— **საოკუპაციო ჯარი განაგრძობს ახალ სადგურებისა და მაღაროების დაპყრობას.**

— **უნგრეთში სწარმოებს კომუნისტების პროცესი.**

— **ლოზანის კონფერენციაზე სტამბოლის ოკუპაციამ მოსალოდნელია მწვავე ხასიათი მიიღოს.**

## რურის ოკუპაცია.

**პროლეტარული სოლიდარობა.**

— პროლეტარული სოლიდარობის ნიშნად გამბურგის ნავთსადგურის მუშებმა დაადგინეს უფასოთ გადატვირთონ რუსეთიდან რურის მუშებისათვის გაგზავნილი პური.

**სანქციები ძარცვავენ.**

— საფრანგეთ ბელგიის საფინანსო კომისიამ დიუსელდორფში სანქციები დაადო ივ წარმოებათა მანქანების კონფისკაციაზე, რომლებმაც უარი განაცხადეს ნახშირის გადასახადის შეტანაზე.

**დასჯას ახალი ზომები.**

— ფრანგების ახალი განკარგულების ძალით საბოტაჟი ფოსტა-ტელეგრაფის სამსახურში დასჯილი იქნება 5 წლიდან დაწყებული ვიდრე სამუდამო ღაპატიმრებით.

**ფრანგების მიერ სადგურების ხელში ჩაგდება.**

— ოფიციალური სტატისტიკური ცნობების მიხედვით 206 რურის სადგურებს შორის ფრანგების მიერ დაკავებულია 173.

**მინისტრებზე თავდასხმა.**

— გერმანიის პრესა იუწყება რურის ოლქში მყოფ საფრანგეთისა და ბელგიის მინისტრებზე უშედეგო თავდასხმის შესახებ მოკვლის მიზნით. ახენის ახლო ბელგიის თავდაცვის მინისტრი დაზერი იძულებული იყო გამოსულიყო მატარებლიდან, რადგან რკინის გზა რომელზედაც მოგზაურობდა მინისტრი დაშლილი აღმოჩნდა. ლე—ტრეკეს მატარებლის ქვეშ რკინის გზის ლიანდაგზე ნასროლი ყუმბარა დროზე ადრე გასკდა. ამ ამბების გამო საფრანგეთის ხელის უფლებამ მისცა ბრძანება სადგურ რონგეიდიდან რკინის გზის გერმანელ მოსამსახურეთა დაუყონებლივ გადასახლების შესახებ.

# ჩვენს წითელ ჯარში

## ჩვენ ნუ ვიღებთ ჩვენს წვლილს.

17 აპრილს შესდგა საავიაციო დივიზიონის წითელ არმიელთა და უფუშმადგენლობის საერთო კრება. დღის წესრიგში იყო: მოხსენება ლენის 17 აპრილის ტრაგედიის გამო და დივიზიონისათვის სამხკორის არჩევა. პირველ საკითხზე მოხსენებით გამოდის ამხ. ველიორკოვი, რომელიც ვრცლად შეეხო სისხლიან ნიკოლოზის ჟანდარმების მოქმედებას ლენის მუშების წინააღმდეგ.

კრებამ დაადგინა: რათა აღნიშნული იქნეს სათანადოთ ლენის გმირების ხსოვნა ჩვენში, ავიადივიზიონის უფუშმადგენლობის და წითელ არმიელების ორი დღის ჯამაგირები გადადებულ იქნეს რურის ოკუპაციით დაზარალებულ გერმანელ მუშების სასარგებლოდ. დასასრულ კრებამ სამხკორად აირჩია ამხ. გეგია, რომელსაც დაევალა სისტემატიურად ნაწილის ცხოვრების აღნიშვნა სადაც ჯერ არს.

წ.-არმ. მკუასელი.

## 1-ლი ლეგიონი საქმიანობს.

უფუშმადგენლობის მეცადინეობა სამხედრო დარგში, კარგათ მიმდინარეობს ლეგიონის თავის ამხ. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით

უფუშმადგენლობის მეცადინეობა წითელ-არმიელებთან პირობების მიხედვით დამაკმაყოფილებელია.

პარტიულ მუშაობას ამ უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლება დაეტყო. დანიშნულ დღეს იმართება, როგორც ბიურო კოლექტივის ისე კომუჯრედების კრებები, ირჩევა მესაფერისი კითხვები, სამოქალაქო კომუჯრედებთან კავშირით რომელიც სუსტობს და სხვ.

პოლიტსაათს წითელ-არმიელების სიმცირის გამო თუმცა ვერ აქვს შესაფერისი სახე და სიხალისე, მაგრამ მაინც სწარმოებს. როგორც გამოირკვა პოლიტ-მელთა უკანასკნელ სხდომიდან თითქმის მარტის თვის გეგმაში აღნიშნული ყველა კითხვები ჩაუტარებიათ, წითელ-არმიელებს ამ დარგში აქვთ ცოდნა, რომელსაც იჩენენ ისინი შეკითხვისას პასუხში და ყოველ გვარ საქმიანობ ში.

კლუბში ხშირათ ეწყობა კრებები, რომელშიც კეთდება მოხსენებები ადგილობრივი ძალებით, ხან კი მომხსენებლები მოდიან პოლიტ-განყოფილებიდან, ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტიდან და სხვ.

## ცრუმორწმუნოება იმსხვრევა.

10 აპრილს 1-ლ ც. ა. კ. ლეგიონში შესდგა საერთო კრება. მომხსენებლად სარწმუნოების შესახებ გამოდის ამხ. ბოსნაძე, რომელიც ვრცლად შეეხო რელიგიას და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, როგორც ბიბლია, ისე სხვა და სხვა საეკლესიო საიდუმლოებანი მაგ. ნათვლა-ჯვრის წერა, ზიარება და სხვა.

კრება მომხსენებლის ნათელი მაგალითებით მთლიანად რწმუნდება, რომ სარწმუნოება წარსულში იყო გაბატონებულ კლასების საუკეთესო იარაღი მშრომელი ხალხის დამონავების საქმეში, ხოლო დღეს კი საბჭოთა ხელის უფლების აქტიური მოქმედებით რელიგიური ცრუმორწმუნოების წინააღმდეგ, შესაძლებელი გახდა მისი დღის სინათლეზე გამოტანა და მეცნიერების ნათელი გზისკენ მიბრუნება.

ე. ც.

## მეზარეს!

დაჰკა ზარებს მხნე მეზარევ!
ამეტყველე ცეცხლის ხმითა
დე მაშველნი აიმაღლონ
საამური სიმღერითა.

აბა შეხე მთის მწვერვალნი
მზის სხივს როგორ ამოურთავს
და მინდორ ველს წითელ ალმით
მზის სხივები, როგორ ქარგავს.

დაჰკა დაჰკა მხნეთ მეზარევ
გაამხნევე მაშვრალთ გული,
მეიჰერი ტანჯულთ ქოხში
მიულოცე გაზაფხული.

გოგიტო ციმბირელი.

## კარგი დამოკიდებულება

ჩვენს ლეგიონში მუშები ხშირათ დადიან საჩუქრებით. ხშირათ ვაწყობთ გაერთიანებულ კრება მიტინგებს. ხშირათ ერთად ვსადილობთ. სურათებს ვიღებთ ერთად, და საზოგადოთ ძმური კავშირი არსებობს ამ რაიონის მუშებსა და ჩვენ შორის. ისინი საფუძვლიანად ეცნობიან ჩვენ საქმიანობას, ჩვენ მათსას. აბა ვინ არ იცის, რომ ეს კარგი დამოკიდებულება და ერთმანეთთან დაახლოება არის საუკეთესო გარანტია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა. მიბაძეთ, სხვა რაიონის მუშებო და წითელ არმიელნო!

1-ლი ლეგიონელი შ. ცომაია.



## კავალერია და საჰაერო ფლოტი.

როდესაც ჩვენ ერთად ვიხილავთ კავალერიას და ჰაერის საბრძოლო საშუალებებს, ეს აიხსნება უპირველესად ყოვლისა იმით, რომ პირველის ამოცანანი ცნობილ მენაკით წლიდ ხვდენ უკანასკნელს. ცხენოსანმა ჯარმა არსებითად შეიცვალა თვისი ხასიათი. საპოზიციო ომში იგი თითქმის გამორიცხულია, როგორც ცხენოსანი ჯარი. მტრის განუწყვეტელ გამაგრებულ ხაზების წინააღმდეგ ცხენოსან მწყობრში იგი უძლურია. აქ იგი შეიძლება ზურგში საპოზიციო მუშაობისათვის მოიხმარონ. არ მივიღებთ რა მხედველობაში ფეხოსან ჯარის მზვერავებს, დაზვერვა თითქმის მთლად გადაეცათ მფრინავებს, რომელთა მოღვაწეობანი, რასაკვირველია, შეივსება საიდუმლო აგენტების და ჯაშუშების მუშაობით; მხოლოთ მათ აქვთ ერთი დიდი დაბრკოლება—ეს ის, რომ მათ მუშაობა მხოლოდ ცოტად თუ ბევრად კარგ ამინდში შეუძლიათ და, რაც შეეხება ღამით და ძლიერ ნისლზედ მუშაობას იგი სრულიად შეუძლებელია მათთვის და მუშაობა სჩერდება. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება საერთო ხაზით განისაზღვროს რკინის გზაზედ მოძრაობა და, ცნობილ გარემოებაში, ჯარის მიერ მდებარეობის დაკავება თვალდევნილ მდებარეობის გაშუქება შესაძლოა მხოლოთ ძალიან დაბალი ფრენისას და ისიც მოკლე მანძილზედ. პირიქით კარგ ამინდში საჰაერო დაზვერვა იძლევა მეტ შედეგს ვიდრე შეუძლია მისცეს კავალერიამ. მტრის მიერ დაკავებული მთელი მდებარეობის სურათი შეიძლება ფოტოგრაფიის საშუალებით გადაიღონ ჰაეროპლანიდან. ამ საშუალების წყალობით შესაძლოა დაწვრილებით აღინიშნოს მოწინააღმდეგის სიმაგრეთა მდებარეობა და მისი გარემოება. რკინის გზის მატარებელთა მოძრაობა, სადგურების დაკავება მოძრავ შემადგენლის მიერ, ჰაეროდრომები (ჰაეროპლანების სადგურები) და რითია იგინი დაკავებული, ბანაკის სიდიდე და მისი დაახლოებითი მოცულობა, მილისების და საარტილერიო საწყობების სიდიდე მოწინააღმდეგის ბატარეების პოზიციები, ტანკების მონაწილეობა (ნაწილობრივ კუშველოდ, ნაწილობრივ იმ კვალზედ, რომელსაც ტანკები სტოვებენ გზებზედ)—ყველა ეს შეიძლება თვალდევნილი საჰაერო აპარატებიდან ჩვენ მათი ფოტოგრაფიული სურათით გადაიღონ.

მტერი, რასაკვირველია, შეეცდება ყველა თავისი მოწყობილობანი დაჰფაროს მფრინავების თვალიდან, მხოლოდ მაინც დამაჯერებლით და გამოცდილ სამხედრო დაზვერვით ხშირად შესაძლო იქნება განისაზღვროს მტრის შეტევისათვის მომზადება, მოწინააღმდეგის არტილერიის შემცირება ან გამრავლება, მისი მაშველის გაძლიერება და სხვა მაგვარი, და ამ გზით სარდლობას არსებითი შემწეობა მიეცემა.

გ. ბ.

## საქ. მთლ. კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობის მესამე სხდომა

16 აპრილს დილის 10 ნახევარ საათზე გაიხსნა ყრილობის მორიგი მესამე სხდომა.

ამხ. ლორთქიფანიძე.—გამოდის დაწვრილებითი პასუხებით: იგი ლაპარაკობს ზოგადათ მთელი კოოპერატივის მოღვაწეობის შესახებ. შემდეგ, ამხ. ლორთქიფანიძისა გამოდიან განყოფილებების ხელმძღვანელნი. ისინი ეხებიან იმ შეკითხვებს, რომლებიც ეხებიან მათ განყოფილებებს.

საწარმოო დარგიდან ყრილობისათვის სრულიად დამაკმაყოფილებელი პასუხით გამოდის ამხ. იბოლაძე.

ლაპარაკობს აგრეთვე ამხ. კ. გოგოლაძეც. იგი ეხება თავის საპასუხო სიტყვაში, საორგანიზაციო მუშაობას, სხვა და სხვა კომპანიების ჩატარებას, აგიტაციას და სხვა ზომებს, რომლებიც მიღებულ იქნა გამგეობის და განსაკუთრებით საორგანიზაციო ნაწილის მიერ.

დასასრულ კითხვების შეხახებ, ლაპარაკობს ამხ. ებრაელიძე.

შემდეგ გამოდის ძველი გამგეობა გასამართლებელი სიტყვით.

გამგეობიდან ილაპარაკა ოთხმა კაცმა. ყველა ისინი ეხებოდნენ მაშინდელ საერთო მდგომარეობას, იმიზეზებდნენ ობიექტიურ პირობებს და ამბობდნენ, რომ ის დეფექტები, რომელნიც მაშინ ჩვენ კოოპერატივს ჰქონდა—იყო საერთო ავადმყოფობა მთელი საბჭოთა რესპუბლიკებისა.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი.

ამხ. თენგიზ ჟღენტი გამოდის და ლაპარაკობს ჯერ ძველი გამგეობისა და შემდეგ ახალი გამგეობის მოღვაწეობის შესახებ. იგი დაუზოგველად აკრიტიკებს ძველი გამგეობის საქმიანობას და შემდეგ შეუდგა ახალ გამგეობის მოღვაწეობის შეფასებას. შემდეგ ამხ. თენგიზი ამბობს, რომ მაინც და მაინც არაა საჭირო ყრილობამ გაასამართლოს ძველი გამგეობა. იგი მოუწოდებს ამხანაგებს, რომ თუ ვინმეს რაიმე ღირსშესანიშნავი საბუთები აქვთ მათ შესახებ გადასცენ სასამართლოს და ის გამოიტანს შესაფერ მსჯავრს.

ამით დამთავრდა მესამე სხდომა.

### მეოთხე სხდომა.

საღამოს, გაიხსნა მეოთხე სხდომა. სხდომის დასაწყისს ყრილობამ მოისმინა მოხსენება წესდების გარჩევის შესახებ, რასაც არ გამოუწვევია, კამათი გარდა ერთდროული გადასახადის შესახებ წარმოდგენილი პროექტისა. რამოდენიმე ორატორის გამოსვლის შემდეგ ყრილობა ჩერდება 30 კაპეიკზე ოქროთი. (იხილე ბოლო) შემდეგ მოხდა გამგეობის არჩევნები: აირჩიეს 7 წევრი და 2 კანდიდატი.

გამგეობის წევრებათ აირჩიეს:

1. ებრაელიძე
2. ბახტაძე
3. გოგოლაძე
4. სიკინჭილაშვილი
5. შარაშენიძე
6. ბერაძე
7. ჩილინგირი

კანდიდატებათ:

1. კალანდაძე
2. ხუციშვილი

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს:

1. ჩინტლაძე
2. ლორთქიფანიძე
3. გვალია

კანდიდატათ—კურჩენკო.

ვინაიდან ყრილობას დრო არა ჰქონდა მოესმინა ადგილებიდან მოხსენებები, ამიტომ ყრილობამ დაადგინა ადგილებიდან მოხსენებები მოისმინოს პლენუმმა.

ყრილობის დახურვისას სიტყვას იღებს ამხ. თენგიზ ჟღენტი.

იგი ამბობს, რომ ყრილობის 2—3 დღის მუშაობამ დაამტკიცა ჩვენი სიძლიერე პოლიტიკური და კოოპერაციული ძალებით. ორატორი საერთო ჯამს უკეთებს ყრილობის მუშაობას და ამბობს, რომ მართალია გამგეობა არჩეულია და იქ ჩვენის აზრით ენერგიული ამხანაგებიც მოხვდნენ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ისინი მაინც ვერაფერს ვერ გააკეთებენ თუ თქვენ მათ არ აღმოუჩინეთ დახმარება ადგილზე.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენის დახმარებით და თანაგრძნობით ჩვენი დივიზიის კოოპერაცია გადაიქცევა ერთ უდიდეს ეკონომიურ ორგანიზაციათ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალ ყრილობას უფრო მომზადებულნი და ძლიერნი შევხვდებით. ამ იმედით მე გისურვებთ თქვენ გამარჯვებას და სრული დარწმუნებული, რომ ჩვენ მივაღწევთ ჩვენს მიზანს. ყრილობას დახურულათ ვაცხადებ.

ამხ. თენგიზის სიტყვის შემდეგ ყრილობა დაიხურა.

სამანდატო კომისიის სახელით გამოდის მოხსენებით ამხ. ჩილინგირი. ყრილობამ დაადასტურა სამანდატო კომისიის მოხსენება.



## წითელი-მოლაშქრის წერილი დედასთან.

მეცადინობის შემდეგ
რა დავისვენე დედაო,—
შენზედ ფიქრებმა წამიღეს,
ტკბილდებმა, ზედი-ზედაო,

დავჯექ, წერილი დავწერე
შენ გულის გასახარადო,—
რადგანაც, სიყვარულითა,
დღე-ღამ გიგონებ მარადო.

აქ, რომ წამოველ ხომ გახსოვს
მე არ ვიცოდი წერაო?—
ეხლა-კი ჩემმა კითხვამა
ყველანი შეაჯერაო...

აქ გვასწავლიან ყველაფერს,
ჩვენ გვაქვს წითელი სკოლაო,
გაგეხარდება, რო მნახო,
ჩემნაირ შვილის ყოლაო;—

ჩვენი ყაზარმის ქირი—მე,
ეს ხომ არა ჰგავს ძველსაო?!
შენ გენაცვალე, დედილო,
გადაგეხვიე ყელსაო...

დილით ავდგებით, სამხედრო
ვარჯიშობაში გვრწვთნიანო;—
რომლითაც, მტერთა ზარ-მცემად,
წითელ ლაშქარსა ჰქმნიანო.

რათა დავიცვათ გლეხები
და მუშა—ჩვენი ძმებიო;
ვაი მას ვისაც ბრძოლის ველს
პირდაპირ შევხვდებიო!..

საღამოს ვსწავლობთ სკოლაში
და მივალთ თეატრებშიო;
მოგიკვდეს შვილი გოგლაი
თუ ცეცხლს არ, ანთებს მტრებშიო

ჩემს ძმას უთხარი, ვანოსა
აქეთ ეჭიროს თვალიო,
მოვიდეს სამსახურში და
გადიხადოს ვალიო.

იყოს ლარიკი მშრომელთა,
ისე ვით მე ვარ ძმლაო;—
წითელი დროშით, ბრძოლაში
უყვარდეს მტრებთან შეხვლაო.

გადამიკოცნე მამა და
ჩემი ხაციალე სონაო:—
არ ვუღალატებ, გინდ მომცენ
ოქრო მაგისი წონაო.

სხვა რა მოგწერო? ამ წერილს
კმარა რაც დავაბარეო;—
სალამი ჩემო სოფელო,
საყურმის ჩვეულო მხარეო.

დაშნა.

## დაკარგა

პირადობის მოწმობა № 1065 გაცემული ქართულ დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულიდან ვალერიანე ნუცუბიძის სახელზედ ჩაითვალოს გაუქმებულად.



ტირაჟი 1000.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩინტლაძე